ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

21-22 სექტემბერი, 2021 წელი

სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა კანდიდატებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა (შევსებული დანართი №2-ის შესაბამისად);

- განცხადება (შევსებული დანართი № 3-ის შესაბამისად);

- პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

- 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

- მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2021 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

- ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული);

- წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი);

- სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სამეცნიერო ხელმძღვანელის (სავარაუდო) თანხმობა (შევსებული დანართი №4-ის შესაბამისად);

ბსუ-ში სწავლის უფლების მქონე პირი (პირველსემესტრელი) ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს პირველი სემესტრის სწავლის საფასური არანაკლებ 1000 ლარისა

სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;

ბანკის კოდი -TRESGE 22;

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 – (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური);

დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა.

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი დაიწყება 4 ოქტომბერს!

რეგისტრაცია იწარმოებს - ბსუ-ს პირველ კორპუსი, ოთახი 19.